პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში (II ფაზა)



განხორციელების ვადა: 01.01.2025 - 31.12.2028

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 1 800 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 800 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Europol

პროექტის ვებსაიტები: europol.europa.eu/how-we-work/eastern-partnership-project-eap

პროექტის აღწერა:

პროექტი „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ ხორციელდება ევროპოლის (Europol) ხელმძღვანელობით. პროექტის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ოპერატიული და სტრატეგიული პოტენციალის გაძლიერება სისხლისსამართლებრივ საფრთხეებთან ბრძოლის ევროპული ინტერდისციპლინური პლატფორმის (EMPACT) შესაბამისად, კავშირების განმტკიცება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის EMPACT-ის მხარდასაჭერად, და ცოდნის და ინფორმირებულობის გაუმჯობესება EMPACT-ის შესახებ. პროექტის ფარგლებში შემდგომშიც გაუმჯობესდება ოპერატიული თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და მათ შორის. გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაუმჯობესებას ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში ამ სფეროში აქტიურად მოქმედ ევროკავშირის სააგენტოებთან, რომელთა საქმიანობა მიმართულია ორგანიზებული და სერიოზული საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონთან ოპერატიული თანამშრომლობის მხარდაჭერა სასარგებლო იქნება ევროკავშირის პოლიტიკური ციკლის ოპერატიული განხორციელებისთვის. ევროკავშირის პოლიტიკურ ციკლთან შესაბამისობაში ყოფნით პროექტი უზრუნველყოფს ექსპერტიზას და საჭირო კოორდინაციას დანაშაულის ყველა შესაბამის სფეროში.

პროექტის ფარგლებში განისაზღვრება შესაძლებლობები ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობების დასამყარებლად სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტებთან და ღონისძიებებთან აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. პროექტი იმუშავებს ევროკავშირის წარმომადგენლობებთან, მიაწვდის მათ ინფორმაციას შესაბამისი პროექტების შესახებ და

მოსალოდნელი შედეგები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გაუმჯობესებული ოპერატიული და სტრატეგიული შესაძლებლობები სისხლისსამართლებრივ საფრთხეებთან ბრძოლის ევროპული ინტერდისციპლინური პლატფორმის (EMPACT) შესაბამისად.
2. გაძლიერებული კავშირები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის EMPACT-ის მხარდასაჭერად.
3. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უწყებების და შესაბამისი ორგანოების გაუმჯობესებული ცოდნა და ინფორმირებულობა EMPACT-ის შესახებ.